შპს სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 3

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 5

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 7
2. მომზადების საფუძვლები 7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 8
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 8
5. საინვესტიციო ქონება 16
6. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 16
7. მარაგები 16
8. გაცემული სესხები 16
9. ფული და ფულის ეკვივალენტები 16
10. საწესდებო კაპიტალი 17
11. სხვა ვალდებულებები 17
12. მიღებული ავანსები 17
13. პირობითი ვალდებულებები 17
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 17

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები		11,078,586	4,963,263
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(6,608,140)	(3,262,338)
საერთო მოგება		**4,470,446**	**1,700,925**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(2,846,237)	(589,552)
კომერციული ხარჯები		(15,499)	(3,688)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯები		327,986	(327,975)
საოპერაციო ზარალი		**1,936,695**	**779,710**
საპროცენტო შემოსავალი		2,447,644	-
საპროცენტო ხარჯი		(1,903,658)	(1,007,543)
სესხების გაუფასურების ხარჯი		(452,289)	
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება (ზარალი)		(404,101)	-
ზარალი დაბეგვრამდე		**1,624,291**	**(227,833)**
მოგების გადასახადის ხარჯი		(370,169)	-
წმინდა მოგება/ზარალი		**1,254,122**	**(227,833)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**1,254,122**	**(227,833)**
წლის შედეგი მიეკუთვნება:			
- ჯგუფის მფლობელებს		1,621,134	(227,833)
- არასაკონტროლო წილის მფლობელებს		(367,012)	-

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ვლადიმერ რობაქიძე

მთავარი ბუღალტერი _____ დათო კანდელაკი

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
ძირითადი საშუალებები		1,142,374	607,623	677,411
საინვესტიციო ქონება	5	2,933,687	1,001,047	616,059
არამატერიალური აქტივები		66,184	32,106	1,365
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	6	3,932,199	4,430,386	4,430,386
მარაგები	7	17,002,188	7,487,287	7,543,854
გაცემული სესხები	8	13,417,597	17,113,154	10,356,804
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,806,731	782,745	208,701
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	345,076	-
ფული და ფულის ექვივალენტები	9	574,971	111,853	41,007
სულ აქტივები		**40,875,930**	**31,911,277**	**23,875,587**
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	-	1,802,544	1,802,534
გაუნაწილებელი მოგება		9,361,736	(1,292,202)	2,482,313
სულ მფლობელთა კაპიტალი		**9,361,736**	**510,342**	**4,284,847**
არამაკონტროლებელი წილი		1,415,545	(1,182,228)	-
სულ კაპიტალი		**10,777,281**	**(671,886)**	**4,284,847**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		8,099,632	14,262,341	11,729,021
სხვა ვალდებულებები	11	2,444,277	849,453	2,100,323
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		9,854,075	10,704,501	652,407
საგადასახადო ვალდებულებები		808,859	216,554	227,108
მიღებული ავანსები	12	4,621,290	5,677,075	4,406,745
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		4,270,516	873,239	475,136
სულ ვალდებულებები		**30,098,649**	**32,583,163**	**19,590,740**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**40,875,930**	**31,911,277**	**23,875,587**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი	არამაკონტრო-ლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	**1,802,534**	**2,482,313**	**4,284,847**	**-**	**4,284,847**
წლის სრული ზარალი	-	(227,833)	**(227,833)**	-	**(227,833)**
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილის შეძენა	-	(1,744,138)	**(1,744,138)**	(1,182,228)	**(2,926,366)**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**1,802,534**	**510,342**	**2,312,876**	**(1,182,228)**	**1,130,648**
წლის სრული შემოსავალი		1,621,134	**1,621,134**	(367,012)	**1,254,122**
საწესდებო კაპიტალის (შემცირება)/ზრდა	(1,802,544)		**(1,802,544)**	1,191,963	**(610,581)**
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიის შეძენა	-	9,032,804	**9,032,804**	1,772,823	**10,805,627**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**9,361,736**	**9,361,736**	**1,415,546**	**10,777,282**

	შენიშვნა	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		**1,254,122**
კორექტირებები:		
სესხების გაუფასურების რეზერვი		452,289
საპროცენტო ხარჯი		1,903,658
საპროცენტო შემოსავალი		(2,447,644)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო		404,101
ფულადი სახსრების შემოსფლა საბრუნავ კაპიტალში ცფილებამდე		**1,566,526**
საბრუნაფის კაპიტალის ცფლილებები:		
გაცემული სესხები (ზრდა)/შემცირება		3,888,368
მარაგების (ზრდა)/შემცირება		(6,742,016)
დებიტორული და სხვა დავალიანების (ზრდა)/შემცირება		729,038
კრედიტორული და სხვა ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება		8,332,916
საგადასახადო ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება		887,858
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		**8,662,690**
გადახდილი პროცენტი		-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**8,662,690**
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(534,751)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(34,078)
შვილობილი და მეკავშირე საწარმოს ზრდა/(შემცირება)		498,187
საინფესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(70,642)**
ფინანსური საქმიანობა		
არამაკონტროლებელის მიერ კაპიტალის შევსება		1,191,963
სესხის მიღება/(გადახდა), ნეტო		(9,320,893)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**(8,128,930)**
წმინდა ფულადი სახსრების შემცირება		**463,117**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთფის	9	**111,853**
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		-
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთფის	9	**574,970**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი (შემდგომში „კომპანია") არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2013 წლის 5 მარტს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 404438649.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, დ.აღმაშენებლის გამზ., N 171, ბინა № 7.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და კომერციული ფართების მშენებლობა და რეალიზაცია, კომერციული ფართების გაქირავება და ასევე სალომბარდე სესხების გაცემა.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ით დამფუძნებელი და მაკონტროლებელი პირია ვლადიმერ რობაქიძე.

კომპანიამ 2018 წლის 19 დეკემბერს შეიძინა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი საწარმო შპს GOLD CREDIT-ის 75%-იანი წილი, რომლის ძირითადი საქმიანობაა ძვირფასი ლითონების უზრუნველყოფით სალომბარდე სესხების გაცემა.

კომპანიამ 2019 წლის ბოლოს შეიძინა დამატებით წილები და მოიპოვა კონტროლი საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ შემდეგ კომპანიებში:

- შპს აპექს ჯგუფი - შეიძინა დამატებით 30%-იანი წილი და მოიპოვა კონტროლი;

- შპს სამშენებლო კომპანია მერკური ჯგუფი - შეიძინა დამატებით 25%-იანი წილი და მოიპოვა კონტროლი;

- შპს სამშენებლო კოპანია დარიუს ჯგუფი - შეიძინა დამატებით 50%-იანი წილი და მოიპოვა კონტროლი.

კომპანია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობდა შემდეგ შვილობილ და მეკავშირე საწარმოებს:

	საქმიანობა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
შპს სამშენებლო კომპანია მერკური ჯგუფი	მშენებლობა	75%	25%	25%
შპს სამშენებლო კოპანია დარიუს ჯგუფი	მშენებლობა	100%	50%	50%
შპს აპექს ჯგუფი	მშენებლობა	80%	50%	50%
შპს GOLD CREDIT	სალომბარდო საქმიანობა	75%	75%	-
შპს მაუნთინ ავლაბარი	მშენებლობა	50%	-	-
შპს ბაუჰაუს	კომერციული ფართის გაქირავება	50%	-	-

კომპანიის დირექტორია ვლადიმერ რობაქიძე.

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კოპმანიის პირველ ფნანსურ ანგარიშებას და მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად. მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოუმზადია ფინანსური ანგარიშგება რაიმე მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და

დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუჭვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფში შემავალი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციული ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

იმ შემთხვევაში თუ შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან.

ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს დედა კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	**ევრო**
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2018 წლის 1 იანვრისთვის	2.5922	3.1044

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის

ექვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასთან

გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ფინანსური აქტივი ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფი გაუფასურებულია და გაუფასურების ზარალი წარმოშობილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება გაუფასურებისა (რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს), გამოწვეული აქტივის საწყისი შეფასების შემდეგ მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენის შედეგად „ზარალის გამომწვევი მოვლენა") და თუ ამ მოვლენამ (თუ მოვლენებმა) გავლენა იქონია ფინანსური აქტივიდან ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფიდან ნავარაუდებ ფულად ნაკადებზე. ძირითადი ფაქტორები, რომელიც გაითვალისწინება ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას არის ვადაგადაცილება და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შესაძლებლობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- მსესხებლის ფინანსური ინფორმაციიდან ჩანს, რომ მას აქვს ფინანსური სიძნელეები;

- როდესაც მსესხებელი იწყებს გაკოტრების ან ფინანსური რეკომპანიის პროცესს;

- ეროვნული და ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორების გავლენის გამო სესხის დროული გადაუხდელობა.

- მნიშვნელოვნად შემცირდა უზრუნველყოფის საგნის ღირებულება გარე ფაქტორების გამო.

თავდაპირველად მენეჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა თითოეული დიდი მოცულობის მქონე აქტივის გაუფასურების ობიექტური საფუძველი და მცირე მოცულობის აქტივების ცალ-ცალკე ან ერთობლივად გაუფასურების საფუძველი. თუ დადგინდა, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება

გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული აქტივების გაუფასურების კოლექტიური შეფასების პროცესში. კომპანია ახორციელებს იპოთეკური და ავტო სესხების ინდივიდუალურ შეფასებას გაუფასურებაზე, ხოლო სხვა სახეობის სესხებზე ჯგუფურ გაუფასურებას. ჯგუფური გაუფასურების დროს ფინანსური აქტივების დაჯგუფება ხდება მსგავსი საკრედიტო რისკების მიხედვით. ფინანსური აქტივების ჯგუფისთვის მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება წარსული გამოცდილების საფუძველზე, ამასთანავე გაითვალისწინება ის მიმდინარე ფაქტორები, რომელსაც ადგილი არ ქონია წარსულში, და გამორიცხება ის ფაქტორები, რომლებსაც ადგილი ქონდა წარსულში და მიმდინარე პერიოდში აღარ აქვს ადგილი. იმ შემთხვევაში თუ მოხდება გაცემული სესხის რესტრუქტურიზაცია, სესხის გაუფასურების განსაზღვრისთვის გამოიყენება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც ხდება მომავალი ფულადი ნაკადების დადისკონტირება. გაუფასურების ხარჯი აღირიცხება გაუფასირების რეზერვზე, რომელიც ამცირებს ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე (რომელიც არ მოიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს), რომელიც დადისკონტირებულია თავდაპირველად განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას გაითვალისწინება უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულება, თუ მისი რეალიზაცია მოსალოდნელია. დანაკარგების შეფასება მოიცავს სუბიექტურ ფაქტორს. კომპანიის მენეჯემენტს მიაჩნია, რომ გაუფასურების ხარჯი არის საკამრისი, რისკის ქვეშ მყოფი აქტივებისთვის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, თუმცა შესაძლებელია, რომ მომავალი პერიოდის ხარჯი აღემატებოდეს მენეჯმენტის შეფასებას.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებებიშემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულებით გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულებას სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნისვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშულება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების

კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის (წასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში. კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

დაზეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან

ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

თუ ოპერაცია მომსახურების გაწევას გულისხმობს და შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, საწარმომ ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები უნდა აღიაროს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშებო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასებასაანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავაჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად, მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენებით უფრო ზუსტად შეიძლება მომსახურების შესრულების სტადიის ასახვა. როდესაც რომელიმე აქტი/მოქმედება უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ნებისმიერი, ამონაგების აღიარება გადავადდება მნიშვნელოვაინ აქტის შესრულებამდე.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება,

როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან

კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს 33-ე განყოფილების მიხედვით ,,დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები" თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

(ა) პირი ამ მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ , თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ინვესტიციები

ინვესტიციები მეკავშირე საწრმოებში თავდაპირველად აღიარდება მისი თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს კომპანია, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით.

კომპანია საინვესტიციო ქონებას საწყისი აღირებისას აღრიცხავს თვითღირებულებით და შემდგომ აღრიცხვა აგრძელებს თვითღირებულების მეთოდით.

5. საინვესტიციო ქონება

კომპანია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობს კომერციულ ფართებს თბილისის სხვადასხვა უბანში, საიჯარო შემოსავლების მიღების მიზნით.

6. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

კომპანია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფლობდა შემდეგ მეკავშირე საწარმოებს:

	საქმიანობა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
შპს სამშენებლო კომპანია მერკური ჯგუფი	მშენებლობა	75%	25%	25%
შპს სამშენებლო კოპანია დარიუს ჯგუფი	მშენებლობა	100%	50%	50%
შპს აპექს ჯგუფი	მშენებლობა	80%	50%	50%
შპს GOLD CREDIT	სალომბარდო საქმიანობა	75%	75%	-
შპს მაუნთინ ავლაბარი	მშენებლობა	50%	-	-
შპს ბაუჰაუს	კომერციული ფართის გაქირავება	50%	-	-

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს მეკავშირე საწარმოდ აღიარებული აქვს მხოლოდ შპს მაუნთინ ავლაბარი.

7. მარაგები

მარაგები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომერეობით წარმოადგენს მშენებარე ჯერ არ დასრულებულ საცხოვრებელ და კომერციულ ფართებს, რომელიც უნდა გაიყიდოს მომავალში.

8. გაცემული სესხები

ნაწილი გაცემული სესხი არის დაკავშირებულ მხარეებზე. საპროცენტო განაკვეთი არის 20%.

დაკავშირებყლ მხარეებზე გაცემული სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

ჯგუფს ასევე გაცემული აქვს 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სალომბარდო სესხები შემდეგი მოცულობით:

	31.12.2019	31.12.2018
სესხის ძირი	13,195,933	16,241,235
სესხის პროცენტი	206,730	709,840
სესხის ჯარიმა	14,934	162,079
სულ	**13,417,597**	**17,113,154**

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულისა და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018	01.01.2018
ფული სალაროში	133,982	94,290	4,336
ფული ბანკში	440,988	17,563	36,671

(ლარში)

სულ	574,971	111,853	41,007

10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის დამფუძნებელმა 2019 წელს საწესდებო კაპიტალი შეამცირა და გადაიფარა დამფუძნებელზე გაცემული სესხი.

საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომერეობით არის სრულად შევსებული დამფუძნებლების მიერ.

11. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომერეობით არის სამშენებლო ტერიტორიაზე ყოფილი მაცხოვრებლების მიმართ არსებული ვალდებულება, რომელიც უნდა დაიფაროს აშენებული ფართებით და თანხით..

12. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს და 1 იანვარს მდგომარეობით არის საცხოვრებელი და კომერციული ფართების მომავალი მფლობელებისგან მიღებული, რომლებთანაც გაფორმებულია წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებები და აქვთ შეთანხმებული თანხის გადახდის ვალდებულება. როდესაც შესრულდება ყველა ვალდებულება მომავალ მფლობელსა და კომპანიას შორის ხდება საბოლოო მიყიდვა.

13. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა პანდემია კორონავირუსით გამოწვეული რესპირატორული დაავადების გავრცელების გამო. დაავადებამ, რომელიც პირველად 2019 წლის ბოლოს გამოვლინდა და ცნობილია, როგორც კოვიდ-19, მნიშვნელოვანი ეფექტი იქონია მსოფლიოს გარშემო ათასობით ადამიანის ცხოვრებაზე. პანდემიაზე საპასუხოდ, ბევრმა ქვეყანამ აამოქმედა ზომები, რომელთა მიზანია დაავადების გავრცელებასთან ბრძოლა. ამ ზომებმა კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია გლობალურ ბიზნეს-ოპერაციებზე.

კოვიდ-19-ის გავრცელების საპასუხოდ, საქართველომ 2020 წლის 21 მარტს გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. ახალი შეზღუდვებით, საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში შეიზღუდა გარკვეული ტიპის საქმიანობები. ყველა სხვა (ანუ დაშვებული) ეკონომიკური საქმიანობები, მათი ფორმისა თუ ტიპის მიუხედავად, უნდა განხორციელდეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვით.

აღნიშნულს ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისათვის კომპანიის ოპერაციებზე

მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია. თუმცა, კომპანია აკვირდება სიტუაციას. მიმდინარე მდგომარეობით, რაიმე შეფერხება არ დაფიქსირებულა, რადგან არ ჰქონია ადგილი რაიმე მაპროვოცირებელ მოვლენასა თუ მდგომარეობის ცვლილებას. თუმცა, სიტუაციის გაურკვევლობის გამო, ხელმძღვანელობის შეფასებები შეიძლება შეიცვალოს. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა რომ კომპანიის ოპერაციების შედეგებზე, ფულად ნაკადებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ეს შეიძლება უარყოფითად აისახოს.

მიმდინარე ეტაპზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მას საკმარისი ლიკვიდურობა გააჩნია ბიზნესის ოპერირების გასაგრძელებლად და კოვიდ-19-თან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად წინამდებარე ანგარიშგების გამოცემიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში.